№ 85. 20 აპრილი, პარასკევი. 1866—1884. 20 აპრილი, პარასკევი. № 85.

„დროების“ რედაქცია — სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ., 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

„დროების“ ფასი პირველის მაისიდამ წლის დამლევამდე 7 მანათი.

ARTSRUNIS THEATRE

არწრუნის თეატრი

დღეს 20 აპრილს,

ქართული დრამატიული დასის არტისტები ნ. მ. გაბუნია, მ. მ. საფაროვისა, ვ. აბაშიძე, ა. მოხევე, ა. ცაგარელი და სცენის მოყვარენი კნეინა ე. წერეთლისა, ი. მრევლიშვილი და სხვანი გამართავენ წარმოდგენას

## ხანუმა

კომედია 3 მოქმედებად და 4 სურათად თხზულება ა. ცაგარლისა.

## ოინბაზი

ხუმრობა ვოდევილი 1 მოქმედებად.

ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი 8 საათზედ.

(4—4)

## ერთი პატარა წერილის გამო.

თბილისი, 20 აპრილს.

ამ ორი დღის წინად „დროებაში“ იყო დაბეჭდილი პატარა შენიშვნა სათაურით: „წერილი მეურნეობაში განვითარებულ ქართველთადმი“ და ქვეშ ეწერა „ერთი ახალი მუშათაგანი“. ერთ-ერთი იმ პირთაგანი, რომელთაც უდროვოდ დასტოვეს სასწავლებელი მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა, წასულა სოფელში, მიუყვია ხელი გამკეთილ შობილებელ შრომისათვის, შესდგომია მამულის მუშაობას და მოუწადინებია, ცოტათიც არის, მამა-პაპური გზის გაუმჯობესობა და იმ დაბრკოლებათა აცილება, რომელნიც ყოველ-მხრივ ხელს უშლიან სოფელში დასახლებულ კაცს. ერთ-ერთ ამ დაბრკოლებად „ერთი მუშათაგანი“ სოფლის რიგიან სამეურნეო წიგნების უქონლობას სთვლის და სამართლიანადაც სთვლის. მისივე სიტყვით, ქართველს, რომელიც დაბადებიდამვე მიწას დასცქერის და რომელმაც წარმოსთქვა ეს სიტყვები: «გაუმარჯოს კაცის ნამუშავარს, ხარის ქედს, ცის ნამსა და დედა-მიწის მოსავალსა» — ამ ქართველს არა აქვს რაიმე ღონის-ძიება წიგნების კითხვით და მეცნიერების გაცნობით შეიმუშავოს თვისი გონება, თავის შრომას მეტი საფუძვლიანობა დაუმყაროს, ცხოვრება გაიუმჯობესოს. და აი „ერთი მუშათაგანი“ ვედრებით მიმართავს ჩვენს განათლებულ ყმაწვილ-კაცებს, რომელთაც ჰქონიათ შემთხვევა ევროპიული მეცნიერების გაცნობისა, — გაისარჯონ და თავიანთი ცოდნა გაუზიარონ თავიანთ უმცროსს ძმებსაც.

სრული სამეურნეო სახელმძღვანელოს შედგენა, რასაკვირველია, ბევრს შრომას მოითხოვს და მეტად საძნელოც არის ჩვენის სხვა-და-სხვა ფერად და სახედ შექმნილ საქართველოსათვის. რაც გამოადგება კახეთს, შეიძლება სრულიად უვარგისი და იქნება მავნებელიც იყოს იმერეთისათვის, და რაც დიდს შეღავათს მისცემს აფხაზეთს, იქნება იმანვე ქართლი სრულიად დაღუპოს; მაგრამ ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეებში მოქცეულთ შეუძლიანთ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება იმ მხარეს შეუფერონ, რომელშიაც თითონა სცხოვრობენ და მოქმედობენ და შემდეგში ერთის პირისათვის ადვილი იქნება ყოველი ამ გვარის შრომის ერთად თავის-მოყრა, დასისტემება და მასუკან მთელის ჩვენის ქვეყნისათვის ერთის გამოსადეგი წიგნის გამოცემა.

ვისთვის არის ეს საჭირო? იქნება იკითხონ ზოგიერთებმა. ჩვენს სოფლებში დაბინავებული ახალ-გაზდობა მარტო ღვინის სმასა და ქეიფებს მისდევს და მთელი მისი მეურნეობა ის არის, რომ, რაც შეიძლება, მომეტებული ლალა აიღოსო. მართალია მომეტებული ნაწილი კი ახალგაზდობისა, სამწუხაროდ, მარტო ლალებს მისჩერებია და ღვინით განუპანია ყოველივე კვალი როდისმე მიკარებული განათლებისა, მაგრამ ასი და ორასიც რომ იყოს მათ შორის რიგიანი შრომის მოყვარე და გაუმჯობესობის მსურველი, მარტო ამათთვისაცა ღირს მცირ-მცირე სამეურნეო წერილების წერა რიგიანს გზაზედ დასაყენებლად.

ჩვენი ქვეყნის საფუძველს მამული შეადგენს და თუ ჩვენს ხალხს მამულის სიყვარული არ ამოერეცხება გულიდამ, კეთილი მომავალი მისთვის უეჭველია; მაგრამ რითი შეიძლება ამ სიყვარულის აღზდა და განვითარება, თუ არა იმ საშუალებით, რომ ხალხმა ისწავლოს ამ მამულის მოვლა და

«დროების» ფელეტონი 20 აპრილი.

## საბრალო ტასო.

(სურათი ბატონ-ყმობის ცხოვრებიდამ)

რუსულიდამ გადმოკეთებული

(შემდეგი *)

სოფ. დიღმის მახლობლად, მტკვრის პირზედ, ვასილ ნემსაძის ბაღში, ერთ ჩრდილოვან კაკალ ქვეშ მოგროვდენ ნემსაძის სტუმრები. ქალები, რასაკვირველია, არ იყვნენ და არც არავინ სწუხდა მათის არ ყოფნისათვის. ტასოს ეცვა კოპწია ქართული ტანისამოსი; ფრიად მხიარული იყო იმ დღეს; კარგად დაუხვდა და მხიარულად გაატარებინა სტუმრებს ის დღე. სალამოზედ გააჩაღეს დიდი ცეცხლი, გარშემო შემოუსხდენ; ტასომ მოიტანა თარი, ჩაჰკრა სიმებს და ზედ გულის საკლავად დამღერა. მღერა რომ გაათავა, დაუკრა ლეკური. კარებიდამ წამოდგა ერთი ყმაწვილი კაცი, გრიგოლ ნებიერიძე. მარდად დაუარა და თავი დაუკრა ტასოს. ტასო ადგა და თარის დაკვრით გაუთამაშა.

— მოდით, ვენახს გარეთ გავიდეთ, მინდორში, იქ ტასო გაიქცეს და ჩვენ დავედევნოთ; აბა ვინ დაიჭერს, — ქშენით წარმოსთქვა ლეკურში დაღლილმა ნებიერიძემ. — მხლავე გიცხადებთ, რომ მე მალე დაგიჭერთ, — მიუბრუნდა იგი ტასოს.

— ტყუილად ტრაბახობთ, ბატონო გრიგოლ! — ცელქად უთხრა ტასომ, — მე ჩემს სამშობლო სოფელში ფრინველს მეძახოდენ ჩემი სირბილის და სიმღერის გამო.

— მაშ, მახე უნდა დაგიგოთ, — უხეიროდ იოხუნჯა ერთმა სტუმართაგანმა და თითონვე გაიხარხარა, რადგან არავის გაეცინა მის ოხუნჯობაზედ.

ტასომ მრისხანედ შეხედა მას.

— არც ისეთი ბავშვი გახლავარ, ბატონო ჩემო, რომ თქვენს დაგებულს მახეში გავება.

— თქვენ არავინ გაბათ მახეში, თორემ ვის შეუძლიან თქვენი მახეში გაბმა, — წარმოსთქვა გრიგოლ ნებიერიძემ, რომელიც აქამდინ მის ახლო გაჩუმებული იდგა.

გრიგოლს აუკანკალდა ხმა, სახე გაუწითლდა და გრძნობით შეხედა ტასოს.

— აბა, მაშ წავიდეთ, ყმაწვილებო, მინდორზედ და გავიქცეთ — აბა ვინ დამიჭერს თქვენში! ჩემი ვასილ რაღა იქნა? — სთქვა ტასომ.

— ალბად, სძინავს სადმე, ცოტა ღვინო მეტი მოუვიდა, — მიხვდა პოლიციის პრისტავი, ივანე ტალახაძე. ხომ იცით, როცა ღვინოს მოიჭარბებს, მაშინვე ძილი ეკიდება. აგერ, შეხედეთ, ბუჩქის ძირას არ გადაჭიმულა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! რა ბავშვივით იქცევა! რომ გაცივდეს ხუმრობა ხომ არ არის! — სთქვა ტასომ და ალერსიანად შეხედა იმ ადგილს, სადაც განსვენებას მისცემოდა ვასილ ნემსაძე. — შეხედეთ, რა კარგი მუთაქა უშოვნია. ტიკი გაუბერავს, სალფეთკი გადუფარებია და თავით დაუდვია.

ტასო ფეხის ჩლიქებზედ მივიდა მასთან და ხელსახოცი გადააფარა მელოტ თავზედ.

— ბუზებმა არ გაბედონ შენი შეწუხება, — ალერსით დაატანა ტასომ.

როდესაც ტასო დაბრუნდა სტუმრებთან, ისინი ერთ ხის ძირს დამსხდარიყვნენ და მღეროდენ. მარტო ნებიერიძე არ იღებდა სიმღერაში მონაწილეობას. ის ისევ იმ ალაგას იდგა ჩაფიქრებული და ცას შეჰყურებდა.

ტასომ ქვეშ-ქვეშად გახედა მას და ჩაფიქრებით გაიქნია თავი.

— რა ლამაზია ეს წყეული, — სთქვა თავისთვის ტასომ და ზურგი შეაქცია. — უნდა მოვერიდო!

მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ ველარ მოითმინა და მივიდა მასთან.

— გრიგოლ! რას ჩაფიქრებულხარ, ხომ არავინ შეგილოცა?

ნებიერიძე შეკრთა და ღიმილით შეხედა ტასოს.

— გასაკვირველი არ არის იქ, სადაც თქვენა ხართ.

— თუ სწუხარ ჩემთან ყოფნას, მომერიდე.

— სწუხარო... მომერიდეო! — ბუტბუტებდა გრიგოლ.

— აბა, ვინ დამიჭერს, — წამოიძახა ტასომ და გაიქცა მინდვრისაკენ. ამ სიტყვაზედ ყველანი წამოხტნენ და დაედევნენ ტასოს. ყველაზედ წინ მირბოდა გრიგოლ ნებიერიძე. იგი თითქმის დაეწია ტასოს, მაგრამ ტასო გაუსხლტა ხელიდგან და მარჯვნივ გაუხვია. დანარჩენი სტუმრები ძლიერ უკან ჩამორჩნენ. — აბა, რას დავეწევით იმ ეშმაკს, — სთქვა ტალახაძემ და უკანვე დაბრუნდა ცეცხლთან.

ყველამ ტალახაძეს მიჰბაძეს, უკანვე დაბრუნდენ და გადასწყვიტეს, რომ ტასოს ვერავინ დაიჭერდა.

— ფეხ-და-ფეხ მისდევდა გრიგოლ, მგონი, იმას ვერ გაექცეს? — სთქვა ექიმმა რუსიტოვმა.

— დი-ი-ა-ახ, — გაგრძელებით წარმოსთქვა ტალახაძემ. — ვერსად წაუვა გრიგოლს. ამ ჩვენ მასპინძელს კი მოსვენებით სძინავს, კეთილი სულია.

— რა უნდა ჰქნას მერე, ხომ ვერ უყარაულებს, წარმოსთქვა წილაურმა, ნემსაძის ნათესავმა და განათლებულმა კაცმა. — ტასო რომ კარგად გაზდილიყო, ჩინებული დედა-კაცი დადგებოდა.

*) იხილე „დროება“ № 84.

გამოყენება. ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ ყოველთვის თავისი ნაამაგარი უფრო უყვარს და უფრო აფასებს, ვიდრე იმისთანა რასმეს, რისაგანაც თვალიც მოშორებული აქვს და გულიც; და თუ ჩვენი სწავლული მეურნეები ასსა და ორასს მაინც თავიანთ წერილებითა და წიგნებით შეაყვარებენ მამულს, როგორც საკუთრებას, და ამაგს დაადებინებენ, ამით ჩაჰყრიან საფუძველს დიდი «მამულის» სიყვარულისაც და მაშინ სინიდის-განწმენდილებმა შეიძლება სთქვან, რომ ჩვენს ქვეყანას იმდენი სამსახური გავუწიეთ, რაც კი ჩვენგან შესაძლებელი იყოვო.

## შინაური ქრონიკა

═ გაზეთებში წავიკითხეთ, რომ კიევის სამეურნეო საზოგადოებას გადაუწყვეტია გამართოს მუდმივი გამოფენა სამეურნეო მაშინებისა და იარაღებისა. მას სურს ამ გზით შუამდგომლობა გაუწიოს ფაბრიკანტებსა და მამულის პატრონებს და განათავისუფლოს ეს უკანასკნელნი იმ შუამავლებისაგან, რომელთაც მხოლოდ თავიანთ კერძო სარგებლობა აქვთ სახეში და ხშირად უვარგისს მაშინებსა და სამეურნეო იარაღებს ატყუებენ მამულის პატრონებს. არ იქნებოდა ურიგო, რომ ამ კარგის მაგალითისათვის მიებაძნა ჩვენს სამეურნეო საზოგადოებასაც და გაემართა მუდმივი გამოფენა სამეურნეო იარაღებისა და მაშინებისა. იქნება, ზოგნი წინააღმდეგნი გაუხდენ ამ აზრს, რადგან ჩვენში საიმისოდ არ არის გავრცელებული ამ გვარი სამეურნეო მაშინებით; მაგრამ, ჩვენის აზრით, მით უფრო საჭიროა გამოფენის გამართვა, რომ პირველშივე სხვა-და-სხვა ამერიკელმა და ჰამბურგელმა მაღაზიებმა არ მოითბონ ხელი ჩვენის უმეცარის მამულის პატრონების ხარჯზე. ჩვენმა სამეურნეო საზოგადოებამ იმას უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ პირველშივე თუ უვარგისი მაშინები და იარაღები გავრცელდა ჩვენში, ამით დაეკარგება ხალხს ნდობა ყოველ გვარ გაუმჯობესობისადმი და შეიძლება, თუ არ სამუდამოდ, დიდხნობით მაინც შეჩერდეს ჩვენში წარმატება მამულის შემუშავებაში. გამართვა ხსენებულის გამოფენისა სრულებით საძნელო არ არის. სამეურნეო საზოგადოებას აქვს თავისუფალი ალაგი მაშინების დასაწყობად და სეკრეტარს, რომელიც წელიწადში 1200 მანათს ჯამაგირს იღებს, შეუძლიან დღეში დანიშნული ორი სამი საათი მოანდომოს მამულის პატრონის მიღებას და მაშინების ჩვენებას. ამას გარდა, ფაბრიკანტები დიდის სიამოვნებით გამოუგზავნიან საზოგადოებას საჩვენებლად თავიანთ მაშინებს და იქნება საკომისიო ქირაზედაც არა სთქვან უარი, თუ კი საზოგადოება ამ ქირას გამოუდგება. ერთის სიტყვით, რა მხრითაც უნდა გაესინჯოთ ეს საქმე, სასარგებლოც არის იგი და ადვილად შესაძლებელიც.

═ ოთხშაბათს, 11 აპრილს, გამართული ბალიდამ «წერა-კითხვის საზოგადოების» სასარგებლოდ, წმინდა შემოსავალი იყო სამოც თუმნამდე. დაწვრილებით ანგარიშს ამ დღეებში დავბეჭდავთ.

═ ამაღამ არწრუნის თეატრში ქართული თეატრის არტისტები თამაშობენ ზ. ცაგარლის პიესებს: „ხანუმასა“ და «ოინბაზს».

═ იმერეთიდამ გვწერენ: „სოფელ მარელისში შროშის გზაზედ გადადის მდინარე ჩხერიმელა. ამ მდინარეზედ ყოველთვის იყო ხიდი, რომელსაც ეძახოდენ შავ-ბოგირს. ეხლა თუთხმეტი თვეა, რაც ის ხიდი ჩაიმტვრა და არამცთუ საურმე, არამედ საცალფეხოც არაფერია იმისთანა ალაგს, სადაც მგზავრი ვერა ღონის-ძიებით ვერ ასცდება, რადგან მარჯვენით და მარცხნით კლდეებია აშვერილი. მგზავრი იძულებულია რკინის-გზის ლიანდაგით წავიდეს არა ნაკლები ათის ვერსისა. ამ რკინის-გზაზედაც მუდამ ცემა-ტყეპაა მგზავრსა და რკინის-გზის ყარაულებს-შორის. ამ უხიდო ალაგმა წარსულ წელს იმსხვერპლა ორიოდ მგზავრი და წელსაც, 11-ს აპრილს, ხორითში მცხოვრები სვიმონ დევდორიანი ჩავიდა ხსენებულ ადგილას წყალში, ცხენმა თავს უშველა და დევდორიანი კი წყალმა წაიღო. დმვდორიანმა დასტოვა ცოლი და წვრილ-შვილი უნუგეშოდ“.

ძალიან გვიკვირს, რომ ამ გარემოებას სრულიად უყურადღებოდ სტოვებენ.

═ ფოთიდგან გვწერენ: «13-ს აპრილს მ. ბრიგოლ მაჭაროვის თაოსნობით იყო წარმოდგენილი ქართული სცენის მოყვარეთაგან კომედია «მათიკო» ფოთის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. საზოგადოებამ დიდი თანაგრძნობა აღმოუჩინა ამ კეთილს საქმეს. ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენის კლუბის ზალაში იმისთანა ვიწროობაა, რომ ბევრნი უადგილობისაგამო გულ-დაწყვეტილნი სახლში დაბრუნდენ. ბილეთები გაიყიდა ორასი მანეთისა; წარმოდგენა რიგიანად გაატარეს და საზოგადოება ძალიან კმაყოფილი დარჩა.

═ გაზ. «რუსკი კურიერი» გვატყობინებს, რომ გრაფი ლორის-მელიქოვი ძლიერ ავად არისო.

═ იმავე გაზეთის სიტყვით, ფრანცუზულს ჟურნალ-გაზეთებს ძლიერ დიდი ყურადღება მიუქცევიათ საზოგადოდ სომხებისთვის და მათი საქმეებისთვის. ასეთი ყურადღება ფრანცუზული ჟურნალ-გაზეთებისა გამოუწვევია იმ მოძრაობას, რომელიც ეხლა სომხებსა აქვთ ეჩმიაძინში კათოლიკოზის ამორჩევის გამო. ფრანცუზულ გაზეთებში ბევრი კოსტანტინოპოლედამ გამოგზავნილი წერილები თურმე იბეჭდება სომხების, მათი ისტორიის და ეკლესიის შესახებ. გაზეთი «ტან» ამისთანა ყურადღებას საფრანგეთის საზოგადოებისას იმითი ხსნის, ვითომც სომხები ძლიერს თანაგრძნობას იჩენდენ საფრანგეთისადმი. ამ გაზეთის სიტყვით, სომხები ქრისტიანობის პირველ საუკუნოებში 20.000000-ზე მეტნი იყვნენ, ეხლა კი ამის მეხუთედი ნაწილი ძლივს-ღა იქნება — ისე შეამცირა იგინი ხშირმა ომიანობამ, სხვის უღლების ქვეშ ყოფნამ, სხვა ხალხების შემოსევამ და

---

— უბედურება ეს არის, ტყვეობამ დაუშალა,— დაცინვით სთქვა ტალახაძემ.

— ჰო, პირმოთნენო!.. გამწარებით სთქვა ექიმმა,— პირში ადამიანს აქებთ, ზურგს უკან კი ტალახში სვრით. დასაძრახისი რა არის, რომ ტყვეობაში იყო? აბა ხომ არა ჩაუდენია რა!

— მაშ, თქვენის აზრით, კაცის კვლა კეთილი საქმეა? ჰკითხა ტალახაძემ.

— კაცის კვლა! კაცის კვლა! გამოაჯავრა ექიმმა.— მაშ, რა უნდა ექნა თავის პატიოსნების დასაცავად? ღრმად დაუფიქრდით ხოლმე საქმის გარემოებას, ბატონო ჩემო, და ისე განსაჯეთ. ჩემის აზრით, ტასო საუცხოვო დედა-კაცია: ვასილს უფთხილდება, როგორც თავის თავს, ოჯახს კარგად უვლის, ქვრივ-ობლების მწყალობელია. რაც შეეხება ჭკუას, ჭკუით სულ სჯობიან ჩვენებურ ქალბატონებს.

— ოჰ, რას ამბობთ?— გაჯავრებით წამოიძახა ვაჭარმა ეგაძემ, რომელსაც დიდი ხანი არ იქნებოდა, რაც შეერთო ერთი დალალის ქალი.— ტასო რა დასადარებელია ჩვენს ცოლებთან, პატიოსან ქალებთან, მადლობელი გახლავართ! ტასო მხოლოდ არის გამვლელ-გამომვლელს ყველას ყელზედ ჩამოეკიდოს.

— თქვენ ხომ არ ჩამოგკიდებიათ ყელზედ! აჩქარებით უთხრა წიკლაურმა.— თქვენ რომ ჩამოგკიდებოდათ, გაჩუმდებოდით და კრინტსაც აღარ დასძრამდით.

— უკაცრავად, მე ახლოც არ მოვუშვებდი; თქვენ იქნება გგონიათ, ჩემი პატიოსანი ბაბალე გავცვალო იმ როსკ.....

— სსუს, გთხოვთ ენა მოკლედ იქონიოთ, პურ-მარილს ნუ ივიწყებთ,— შენიშნა განრისხებულმა წიკლაურმა.

— მერე რა? მასპინძელი აქ რა შუაშია? მისი ჯვარ-დაწერილი ცოლი ხომ არ არის? დღეს იმასთან არის, ხვალ... ფუ! აი თქვენი ტასო რა არის!

— გთხოვ ეხლავ წაბძანდეთ აქედამ, თუ არ გინდათ, რომ მე...

— მერე თქვენ რა გნებავთ? გაიჭიმა ეგაძე.— თუ ჩხუბი გნებამთ, აი, მობძანდით, მეც კაი მკლავები მაქვს! არა, ვის მივცემ იმდენ ნებას, რომ ვიღაც გომბიოს გულისათვის შეურაცყოფა მიაყენონ ჩემს ცოლს! მე თითონ არ მინდა ამ კამპანიაში დარჩენა! პეტრე! მოიტა დროჟკა,— დაიყვირა ეგაძემ.

გაისტუმრა თუ არ ვაჭარი, წიკლაური მოერიდა მთვრალ სტუმრებს. თუმცა თითონაც ბევრი ღვინო სვა, მაგრამ დღეს როგორღაც ღვინომ მასზედ ვერ იმოქმედა; იგი გრძნობდა რამდენ სტაქანს ღვინოსაც დალევდა, იმდენად გული უფრო უმძიმდებოდა; ვერა რა ღონისძიებით ვერ შეიმსუბუქა გულის ტანჯვა.

წიკლაურს დიდი ხანია უყვარდა ტასო და ეხლა საშინლად იჭვნეულობდა ნებიერიძეზედ. მას ძლიერ მოკრძალებით ეჭირა თავი ტასოსთან და თავის დღეში ვერ გაბედავდა გაარშიყებას. ოდეს მთელი საზოგადოება გამოუდგა ტასოს დასაჭერად, მარტო მან ვერ გაბედა და არ დაიძრა თავის ალაგიდამ. ტასო მას უცქეროდა, როგორც ვასილის ნათესავს, იყო მასთან ალერსიანად, პატივსასცემდა და ისე კი არა უახლოვდებოდა, როგორც სხვა და სხვა ნებიერიძეებს.

— მარტო ორნი.... გაიქცნენ. რასაკვირველია, ეხლა ბრიგოლ სიყვარულს უცხადებს; ტასო ყურს უგდებს და ხარხარებს... ის ხომ მუდამ იცინის. იქნება, არც კი იცინოდეს! იქნება, იმ დახატულმა სურათმა მოსდო მის გულს კლანჭები! როგორღაც დაიგვიანეს! წავიდე, მოვნახო!.

იწვა ბალახებზედ წიკლაური და ასე ჰფიქრობდა და ეჭვებით იტანჯებოდა. ამ დროს მოესმა ზარის წკარა-წკური და მოხუცის ნემსაძის ტკბილი ხმა:

— ჩემო ნათესავო! რაზედ მოშორებიხარ კამპანიას? უსიამოვნობა ხომ არა ვისთან მოგივიდა? ტასო სადღა არის?

— სასეირნოდ წავიდა, მე განგებ მოვიშორე: მე და ეგაძეს აქ უსიამოვნობა მოგვივიდა და მინდოდა ტასო არ დასწრებიყო. მომიტევე, ჩემო კარგო! მე აქედამ დავითხოვე ეგაძე, რადგან გაბედა და აქ ტასოზედ ცუდი ლაპარაკი დაიწყო.

— ხედავ! მადლობელი ვარო, ჩემო ძვირფასო მეგობარო! რა მხეცი ყოფილა! ჩემთან სულ ტასოს ქებაშია... მეტი დაულევია და იმიტომ წაუგძელებია ენა... ეს რა ზარის წკარა-წკურია? ვიღაც მოდის ეკიპაჟით ფოსტის გზაზედ.

— დიახ, მეც, რამდენი ხანია, ყურს ვუგდებ. მოდი, შემოვეპატიჟოთ.

— უეჭველად!... ბიჭო!— დაუყვირა ვასილმა მოსამსახურეს, თოთხმეტის წლის ბიჭს, რომელიც მათ შორიახლო სამოვარს ადუღებდა.— აბა, გაიქეც ჩქარა, წინ დაუხვდი გზად მიმავალს ეკიპაჟს და, ვინც უნდა იყვნენ, სთხოვე ჩემ მაგივრად პატარა ხანს გვეწვიონ. არ მოეშვა! გესმის!

— ბატონი ბძანდებით, ეხლავე,— სთქვა ვანომ და გაიქცა.

(შემდეგი იქნება)

განუწყვეტელმა სხვა ქვეყნებში გადასახლებამ. ამ ჟამად სომხები სულ 4,000,000 სულნი-და იქნებიან. ამ რიცხვიდგან ერთ მილიონამდინ რუსეთის სამფლობელოშია, სამ მილიონამდინ ოსმალეთში, 450,000 სპარსეთში და დანარჩენი გაბნეული მთელი დედა-მიწის ზურგზე სხვა-და-სხვა სავაჭრო ადგილებში, როგორც, მაგ. ინდოეთში, პოლშაში, ავსტრიაში, და სხ. გაზ. «ტან» ბევრს კარგს ხასიათს და თვისებებს აწერს სომხებს: «სომხები არიან მშვიდი, შრომის მოყვარე ხალხი, — ამბობს გაზეთი. — თუმცა დიდი ნიჭის პატრონები არ არიან, მაგრამ შეუფერხებლად და მტკიცე ნაბიჯით ქდგმიან წარმატებას. გაზეთის სიტყვით, სომხები საზოგადოდ და განსაკუთრებით რუსეთში ძრიელ ზრუნავენ თავის განათლებაზე და გონების განვითარებაზე; მათ შორის ბევრი განათლებული, კარგად განვითარებული და ხელ-მიწვდენით მცოდნე პირი მოიპოვება, როგორც მეცნიერებისა, აგრეთვე ხელოვნებისა. სომხები ხელოვნებაში უფრო განსაკუთრებით ნიჭს იჩენენ. ერთის სიტყვით, — განაგრძობს გაზეთი, — ეს ხალხი ფრიად საინტერესო ხალხია და ღირსია ყოველთა ხალხთა თანგრძნობისა. შემდეგ გაზეთი ამბობს, რომ ეხლანდელ დროში, როდესაც მთელს ევროპაში ლაპარაკია იმაზედ, თუ რა დამოკიდებულება უნდა იყოს ეკლესიასა და სახელმწიფოთა შორის, ყველამ მაგალითად სომხის საზოგადოება უნდა აიღოსო. სომეხთა ერის-კაცობა სრულს თავისუფლებას აძლევს სასულიერო წოდებას იმ საქმეებში, რომელთაც წმინდა სარწმუნოებრივი ხასიათი აქვთ; მაგრამ სხვა საქმეებს კი, განსაკუთრებით საეკლესიო ქონებათა გამგეობისას, ყოველთვის თვითონ განაგებს და თვითონა სწყვეტს. კრებას სულ 140 წევრი ჰყავს; აქედგან 120 წევრი ერის-კაცია და მხოლოდ ოცი წევრი სასულიერო პირი. ის წესი, რა წესითაც კათალიკოზს ირჩევენ სომხები, ცხადად გვიმტკიცებს, თუ როგორია აქვთ განაწილებული თანამდებობანი ერის-კაცობას და სასულიერო წოდებას ურთიერთ-შორის. რუსეთის სომხეთს სულ 12 ხმა აქვს კათალიკოზის ამორჩევაში, — ორ-ორი ხმა თითო ეპარქიაზედაო.

## უცხოეთი.

— ამას წინად ინგლისში დაატუსაღეს სამი ფენია. ამ გარემოებამ მთელი ინგლისის ყურადღება მიიქცია და დიდი ბაასი და სჯა-ბაასი როგორც ჟურნალ-გაზეთებში, აგრეთვე საზოგადოების ყველა წრეებშიც. მზვერავი პოლიციის გაცხარებული მოქმედობს და ეძიებს დატყვევებულთა თანამოზიარეთ. ინგლისური გაზეთების სიტყვით, იქაური პოლიცია დარწმუნებულა, რომ აფეთქებას ახდენენ ყოველთვის პარიჟიდან მოსულნი და იქაურ საიდუმლო საზოგადოებათაგან გამოგზავნილნი პირნი. დინამიტსაც, რომელიც ამ უკანასკნელ დროს ძლიერ ბევრი შემოსულა ინგლისში, პარიჟში თურმე ამზადებენ.

როგორც გაზეთებიდგანა სჩანს, პარიჟში მოუყრიათ თავი ირლანდიის და შეერთებული შტატების მედინამიტეთ და, ესრედ-წოდებულთ, უძლეველთა. უკანასკნელნი ფენიების უკიდურესი დასის მომხრენი არიან. მედინამიტეთ შორის, ირლანდიელების გარდა, არიან კიდევ მრავალი საფრანგეთის კომუნისტები და რუსის ნიგილისტები.

უძლეველთა საზოგადოებას სამი წინამძღოლი ჰყავს, რომელნიც შეერთებულს შტატებში სცხოვრობენ. საზოგადოებას საგნადა აქვს ხოცვა ინგლისის თანამდებობის პირთა ირლანდიაში და იმ ფენიათა, რომელთაც ამ საზოგადოების ღალატი შეემჩნევათ. საზოგადოების პარიჟელმა წევრებმა დახოცეს ლორდი კავენდიში და ბერკი. ჯემსი კერეის დატუსაღების შემდეგ, რომელმაც ბევრი ამხანაგი გასცა, მრავალი ფენიები გაიქცნენ პარიჟში, მოგონილი გვარები დაირქვეს და იქ დასახლდენ...

საფრანგეთის მმართებლობას მიუნდვია თავის აგენტებისათვის, რათა სასტიკად ადევნონ თვალ-ყური მოქაროვის მოქმედებას და ჯრა-გაზით არ მისცენ ნება საფრანგეთის სამფლობელოში დინამიტის გამოცდისა.

— მახდის მომხრენი ცდილობენ თურმე აალელვონ ხალხი არაბეთის პროვინციაში გეჯასშიაც. ამის გამო, ოსმალეთს გაუგზავნია ამ პროვინციაში თავის ჯარები. როდესაც გემები, რომელთაც ჯარი მიჰყავნდათ, შესულან სუეზის არხში, ჯარში ამბოხება მომხდარა, ბევრი სალდათი გადამხტარა გემიდგან წყალში და ცურვით გაქცევა მოუწადინებია. ამ გვარად ოც-დაათი სალდათი კიდეც გასულა ნაპირზე და გაქცეულა. დანარჩენებიც მათს მაგალითს მიჰყოლიან, მაგრამ ოფიცრებს მოუხერხებიათ მათი მობრუნება და, როგორც ყოფილა, დაუმშვიდებიათ ჯარი. როდესაც გემი ჯედში მისულა ამბოხების დამწყებნი სამხედრო სამართალში მიუციათ.

ზოგიერთა ევროპიული გაზეთები აცხადებენ, ვითომც შუა არაბეთში მოძრაობა დაწყებულიყოს სუდანის ცრუ-წინასწარმეტყველის წინაალმდეგ. ვაგაბიტების შეიხს, რომელიც ქალაქ დერაჯახში სცხოვრობს, ამას წინად შეუყრია ყველა თავისი თემის წინამძღოლნი და შემდეგი სიტყვა უთქვამს: «ჩვენ, ვაგაბიტებს, არა გვწამს არც ერთი წინასწარმეტყველი და მხოლოდ მაჰომედს, ძესა ამინისას, ვაღიარებთ მოძღვრად. ამისათვის ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყვნეთ წინაალმდეგობა გაუწიოთ ხალხის შემაცდენელს მაჰომედ-ახმედს და მის მომხრეთ, როდესაც ისინი არაბეთს შემოესევიან. ჩვენ განვდევნით მათ აქედამ. ჩვენ არ გვინდა არც წინასწარმეტყველი, არც ხალიფი. ჩვენ გვინდა თავისუფალნი ვიყვნეთ.»

— ჩრდილოეთ საფრანგეთში მადნის მთხრელი მუშები დაწყნარებულან და მუშაობა ისევ დაუწყიათ. ამ მუშებს დენენში გაუმართავთ მიტინგი, რომელზედაც მრავალი სხვა-და-სხვა მადნის-მთხრელი მუშები დასწრებიან და ამ უკანასკნელთ დაუდგენიათ, რომ მოსპონ პირ-შეკრულობა და მუშაობა ისევ დაიწყონ. ანზენში ზოგიერთა მუშები წინააღმდეგნი ყოფილან ამ გარდაწყვეტილებისა, მაგრამ ვერა გაუწყვიათ რა. ანზენის და დენენის მადნების მუშათა გარდა, სხვა შორეული მადნების მუშებსაც მოუსპიათ პირ-შეკრულობა და კომპანიების პირობებზე დათანხმებულან.

— გაზეთების სიტყვით, ამ დღეებში კონსტანტინოპოლში იქნება კონფერენცია დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა: რუსეთისა, ინგლისისა, გერმანიისა, ავსტრიისა და საფრანგეთისა. ამ კონფერენციაზე უნდა განსაჯონ საქმე რუმელიის გენერალ-გუბერნატორის დანიშვნის თაობაზედ. როგორც გაზეთებიდგან ვტყობულობთ, მარტო რუსეთის წარმომადგენელი ნელიდოვია თურმე წინააღმდეგი ალეკო-ფაშის გენერალ-გუბერნატორად დანიშვნისა. რუსეთს უნდა რომ ამ თანამდებობაზედ დაინიშნოს ვიღაც ბულგარიელი კრეტოვიჩ-ფაშა, რომელიც ამ ჟამად რუმელიის შინაურ საქმეთა მინისტრის თანამდებობას ასრულებს.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

ერთი წელიწადი იქნება თითქმის მას აქეთ, რაც თქვენს გაზეთში ბ. პალატოზიშვილის (ჩიტოსი) წერილი იყო დაბეჭდილი, რომლითაც იგი მიწვევდა საჭიდაოდ და ისეთის სიტყვებითაც მიწვევდა, რომელიც ჩემთვის, ცოტა არ იყოს, სათაკილო იყო.... მე მაშინვე შევატყობინე ბ-ნს პალატოზიშვილს თქვენის გაზეთის შემწეობითვე, რომ ჩემთვის დიდად სასახელო იყო მაგ გვარის მოჭიდავესაგან გამოთხოვნა საჭიდაოდ, რომ ერთხელ და სამუდამოდ ვაცხადებ თანხმობას ყოველ-გვარ პირობაზე, რომელსაც კი დამისახელებს ბ-ნი პალატოზიშვილი და რომ ვსთხოვ დამინიშნოს დრო და ადგილი ჭიდაობისათვის. აქამდე მისგან პასუხი არ ისმის იმ საქმის შესახებ, რომელზედაც თვითვე პირველმა დაიწყო ლაპარაკი და მეც იმედი დავკარგე.

26 ამ აპრილისას მე უნდა გორში ვიყო. უკეთუ ბ. პალატოზიშვილი მოისურვებს და თავის სიტყვას არ გადუდგება, მე, ვიმედოვნებ, მოწიწებით მივიღებ მისგან დასახელებულ პირობათა და მით უფრო გულს-მოდგინედ, რომ დარწმუნებული ვარ ის პირობანი დაფუძნებულნი იქმნებიან ჩვენებურ ჭიდაობის ძველებურ წესებზე. ჭიდაობას საგნად რაც ექნება, ამაზედ ლაპარაკი მეტია. რაც უფრო დიდს შემწეობას მიიღებენ ამ ჭიდაობიდამ ისინი, ვისაც ეს შემწეობა უფრო ეკუთვნით, მით უფრო სასიხარულო და სასიამოვნო უნდა იყოს მოჭიდავეთათვის.

ივანე გლდანელი (ყირიმელი).

## სხვა-და-სხვა ამბავი.

**მკვდრის დასჯა.** ჩინეთში თურმე არამცთუ ცოცხალ დამნაშავეს, მკვდრებსაც არ ინდობენ სიკვდილით დასასჯელად. აი რა უამბნიათ ჩინეთიდამ მოსულ ვაჭრებს: კაშგარის აღების შემდეგ, ჩინელებმა გადასწყვიტეს დასჯა აჯანყებულების მოთავის ბადაულეთ იაკუბ-ბეგისა. ჩინელების სარდალი მთელის ჯარით გაემგზავრა იაკუბ-ბეგის საფლავზედ თოფის სროლით, ვითომ და საფლავის იერიშით ასაღებად. შემდეგ ამ გვარი «საგმირო საქმისა», ჩინელებმა სრულიად შემუსრეს საფლავზედ დადგმული ძეგლი, ამოიღეს მკვდარი, რომელიც ძალიან კარგად შენახულიყო, და დასვეს. მოსამართლემ შეასრულა დამნაშავის გამოკითხვის წესი და თან უსაყვედურებდა იაკუბ-ბეგს ღალატსა და ორგულობას წინაშე ზეცის ძისა ჩინეთის იმპერატორისა. მასუკან ჯალათმა მოჰკვეთა თავი უსულო გვამსა, ტანი დასწვეს და თავი კაშგარის ციხის უმთავრეს კარებთან ჩამოჰკიდეს.

**ცოლის გაყიდვა.** „სარატოვის ფურცელი“ შემდეგს სასაცილო ამბავს იწერება. ამას წინად კიევის გუბერნიის, ერთს სოფელში ერთს ახალ-გაზდა კაცს, რომელიც ორი კვირის წინად დაქორწინებულა, სიმთვრალეში მიუყიდნია ადგილობრივი მამასახლისისთვის თავის ცოლი ნახევარ ოკა არაყზე (ნახევარ ოკა არაყი შვიდი შაური ღირს) მრავალი მოწმების თანადასწრებით და ამაზედ ხელ-წერილიც მიუცია გამყიდველს მყიდველისთვის. მაგრამ სამუდამოდ კი არა, მხოლოდ შვიდი კვირით გაუყიდნია ახალ-გაზდა ქმარს თავისი ცოლი (კვირაში შაურად!) როდესაც ნახევარ ოკა არაყი დაულევიათ, მამასახლისი მოწმებითურთ წასულა იმ სოფლისკენ, სადაც ამ დროს გაყიდული დედა-კაცი სტუმრად ყოფილა თავის მშობლებთან და საიდამაც, გამყიდველი ქმრის სიტყვით, მალე უნდა დაბრუნებულიყო სახლში. მართლაც, გზაზე შეხვდათ თურმე საცოდავი დედა-კაცი მამასახლისს და მისს ამხანაგებს და, როდესაც მამასახლისმა გამოუცხადა მას ქმრის მიერ გაყიდვა, აღარ იცოდა, რა ექნა. თუმცა ქალი ბევრს ეხვეწა თავი დაენებებინათ, მაგრამ მამასახლისი არ მოეშო, მოჰკიდა ხელი, მიიყვანა გამყიდველის მამასთან და გაყიდულის მამამთილთან, გამოუცხადა საქმის გარემოება და დაპატიჟება მოსთხოვა. მოხუცმა გაყარა ისინი, თავის შვილს გაუჯავრდა და ცოლთან ბოდიში მოათხოვინა. მაგრამ მამასახლისს, რომელმაც ასე იაფად იყიდა ცოლი შვიდის კვირით, არ მოეშვა გამყიდველს

და მეორე თუ მესამე დღეს მოწმების თანადასწრებით გამოაყიდვინა მას ცოლი იმავე დუქანში არაფითვე და ამ გვარად მშვიდობიანად გათავდა ეს სასაცილო საქმე.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთ სააგენტოსი“)

18 აპრილს.

**ტამბოვი.** წუხელ-ღამ სობოროში ვიღაცაც ფანჯრის რკინის მესერი (**рѣшетка**) გაუტეხია და 345 მანეთი, ექვსი ჯვარი და სხვა ეკლესიის სამკაული გაუტანია; ქურდები ჯერ ვერ უპოვნიათ.

**ბერლინი.** აქ, გერმანიის პროვინციალურ ქალაქებში და ამსტერდამში რუსეთის ახალ სესხზე ხელის-მოწერა 200 მილიონ გირვანქა სტერლინგამდინ ავიდა; რომ განაწილდეს, ხუთ პროცენტამდინ მოვა.

**ლონდონი.** გარდა საფრანგეთისა, ყველა სახელმწიფონი თანახმანი არიან ინგლისის წინადადებისამებრ კონფერენცია მოხდეს ეგვიპტის საქმეთა შესახებ.

**კაირი.** ოსმან-დიჩმას განუძრახავს ასუანზე იერიშით მისვლა.

**ნიუ-იორკი.** გუშინ სან-ხოზეში თოფის წამლის საწყობი მაღაზია აათეთქეს; ჯერ არ იციან, რამდენი კაცია მკვდარი; მოკლული გვამები ეხლავე ბევრი იპოვეს.

**მადრიდი.** სანტა-კოლომიდგან გაქცეული ოფიცრები, რომელთაც მცხოვრებლები უნდა აეჯანყებინათ, დაიჭირეს. კარლოსის მომხრე ოფიცერი **მანზანო** მოკლეს და იმასთან მყოფი ესპანიელები აქაიქ დაიფანტნენ.

19 აპრილს.

**პეტერბურგი.** გუშინ საზამთრო სასახლეში მიულოცეს ახლად ჯვარ-დაწერილებს დიდს მთავარს კონსტ. კონსტ. ძეს და დ. მთ. ელის. მავრიკის ასულს. სინოდს წინ მიუძღოდენ სამი მიტროპოლიტი: პეტერბურგისა, მოსკოვისა და კიევისა; მიმლოცავთა შორის იყვნენ აგრეთვე უმაღლესი სასულიერო პირნი კათოლიკებისა და ლოტრანგების სარწმუნოებისა.

სამშაბათისათვის დანიშნული იყო განხილვა მინისტრთა კომიტეტში იმ პროექტისა, რომლის ძალითაც სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირთ არ უნდა ჰქონდეთ ნება კერძო თანამდებობის მიღებისა; მაგრამ ეს მოლაპარაკება არ მოხდა, რადგან საჭიროდ დაინახეს მისთვის სხვა და-სხვა ცნობების შეკრეფა. ეს საგანი განიხილება ერთ-ერთ დაახლოებულ სხდომაში.

ახალ სესხზედ მოაწერეს ხელი საზღვარ გარეთ $173^{1}/_{4}$ მილიონი გირვან. სტერლინგისა და რუსეთში 70 მილიონისა, ასე რომ საზღვარ გარეთ 17-ჯერ მეტი შესდგა საჭირო ფულზედ და რუსეთში 14-ჯერ მეტი.

«პეტერბურგის უწყებების» სიტყვით ფინანსთა მინისტრს მიეცემა ნება იშუამდგომლოს ხაზინისაგან შეძენილ რკინის-გზების იჯარით გაცემაზედ, იმ პირობით კი რომ ყოველ კერძო შემთხვევაში დაამტკიცოს საქმის სარგებლიანობა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ ხმების დიდის უმეტესობით უარ-ჰყო წინადადება შესახებ მკვდრების დაწვისა; მმართებლობაც წინააღმდეგი იყო ამ წინადადებისა.

**მადრიდი.** კორტესებისათვის 329 სამინისტროს მომხრე დეპუტატი ამოირჩიეს.


# განცხადებანი

ინგლისური რკინის კრაოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებით, თადნოსი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარხიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიადები, კაპსიულები, ხათფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საპნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—100)

# ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2—,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, [illegible], კოვზები, ტაშტები, [illegible], შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—15)

PAPIER RIGOLLOT
БУМАГА РИГОЛЛО
ГОРЧИЦА НА ЛИСТАХЪ ДЛЯ СИНАПИЗМОВЪ
ПРИНЯТАЯ ВЪ ПАРИЖСКИХЪ ГОСПИТАЛЯХЪ
ВЪ ВОЕННЫХЪ БОЛЬНИЦАХЪ, ВЪ МОРСКОМЪ ФРАНЦУЗСКОМЪ И АНГЛІЙСКОМЪ
КОРОЛЕВСКОМЪ МОРСКОМЪ ВѢДОМСТВАХЪ
Единственное средство, ввозъ котораго дозволенъ въ Имперію медицинскимъ совѣтомъ.

Принимайте за НАСТОЯЩУЮ БУМАГУ РИГОЛЛО лишь ту, листы которой имѣютъ поперегъ сію подпись **красною** краской.

*P. Rigollot*

*Продается во всѣхъ аптекахъ.*

ГЛАВНОЕ ДЕПО
24, Avenue Victoria
PARIS
Въ Парижѣ.

(32—6)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—19)

მაკ-მასტერი

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.


## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 აპრილიდამ 1 მაისამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა | —1 | გ. | $2^{1}/_{2}$ |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა | —1 | გ. | $3^{1}/_{2}$ |
| მესამისა | —1 | გ. | 3 კ. |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4 კ. |
| მესამისა | —1 | გ. | $3^{1}/_{2}$ |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 9 კ. |
| მეორისა | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი | —1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 11 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | — კ. |
| მეორისა | —1 | გ. | — კ. |

## რკინის გზა

ტფილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

ტფილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

ტფილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(საშუალო დროით სახქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან ტფილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან ტფილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან ტფილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი ტფილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი ტფილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის ტფილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით სახქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Доз. ценз. Тифлисъ, 19 Апрѣля 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.